



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კირვალიძე დავით რევაზის ძე

კირვალიძე დავით რევაზის ძე (დ. 6. V. 1967, თბილისი), სწავლული აგრონომი, აგროქიმიკოსი, ნიადაგმცოდნე, პოლიტიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1993). 1990 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტი. 1996_98 იყო შპს საქართვე. კერძო ფერმერთა დახმარების ფონდის დირექტორი განვითარებისა და თანამშრომლობის საკითხებში, 1999_2000 _ საქართვე. მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი და აგრ. საკითხთა კომიტეტის თავ-რე, 2000_04 _ საქართვე. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, 2006_12 _ აშშ-ის საერთაშ. ორგანიზაცია CNFA-ს („სოფლის მეურნეობაში ახალი საზღვრების დადგენა“) პრეზიდენტის მთ. მრჩეველი, 2012_13 _ საქართვე. სოფლის მეურნეობის მინისტრი, 2014-იდან _ CNFA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი, 2017_22 _ საქართვე. პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში.

კ. სამეცნ.-პედ. საქმიანობას ეწეოდა საქართვე. აგრ. და მოსკ. სახელმწ. უნ-ტებში, საქართვე. გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და აგრობიზნესის ინ-ტში (1990_98), ასევე აშშ-ის მერილენდის უნ-ტში (2005_06). 2011_18 აგრ. უნ-ტის სრული პროფესორია ნიადაგმცოდნეობის მიმართულებით, 2021-იდან კი საქართვე. საზოგადოებრივ საქმეთა ინ-ტის (GIPA) აფილირებული პროფესორი. კ. თანამშრომლობს მრავალ საერთაშ. ორგანიზაციასთან (FAO, USAID, IFAD, IFC, DIDA და სხვ.), მუშაობს სას.-სამ. სტრატეგიის, სას.-სამ. გადამამუშავებელი წარმოებისა და კერძო სექტორის ბიზნესის განვითარების საკითხებზე. მან სამეცნ.-კვლ. და ექსპერტული სამუშაოები ჩაატარა მრავალ ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ნიდერლანდების სამეფო, ირლანდია, აშშ და სხვ.). 1998-იდან კ. გახდა ნიადაგმცოდნეობის საერთაშ. კავშირის (IUSS) წევრი. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა.

თბმ.: რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2009 (თანაავტ.: რ. ლიპარტელიანი); Research of Cinnamonic Calcareous Soil Fertilizing Systems for Pastures of Akhaltsikhe District, Communications in Soil Sciences and Plant Analysis, "Taylor and Francis", USA, vol. 42, N7, 2011, pp. 767-786 (თანაავტ.: Korakhashvili A); Endemic and Released Legume Crops Sustainable Production in Georgia, Lam Lambert Academy Publishing, Germany, USA, UK, 2018, 67 p (თანაავტ.: Korakhashvili A, Urushadze T.).
